## სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N58

ქ. ბათუმი 20 მარტი 2018 წ.

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში „დამკვეთი“) წარმოდგენილი დეპარტამენტის თავმჯდომარის სულხან ღლონტის სახით და მეორე მხრივ ფ.პ. ირაკლი სირაბიძე (შემდგომში „შემსრულებელი“), („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, CPV კოდი: 92300000) ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

შემსრულებელი იღებს ვალდებულებას აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სტუმრებისათვის, კერძოდ ჟურნალისტებისათვის აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან (სულ 7 პიროვნება) 2018 წლის 23 მარტს უზრუნველყოს ფოლკლორული ღონისძიების (ქართული ხალხური სიმღერა 4 კაციანი ანსამბლით) ორგანიზება ქედაში - აჭარულ ღვინის სახლში.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს, რომელშიც შედის საშემოსავლო გადასახადი 20% - 100 (ასი) ლარი. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1.მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შემდეგ, დამკვეთისა და შემსრულებლის მხირდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

4.2.დამკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირია - ირაკლი ბარამიძე - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2018 წლის 31 მაისის ჩათვლით.

6. მხარეთა რეკვიზიტები

| **აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი** | **ირაკლი სირაბიძე** |
|---|---|
| მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. N84/86 | მისამართი: *ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი კვაშტა* |
| | საიდენტიფიკაციო კოდი: *61008002145* |
| | *ს.ს. „საქართველოს ბანკი“*<br>*ბანკის კოდი – BAGAGE22*<br>ანგარიში N *GE22BG0000000857222200* |
| საიდენტიფიკაციო კოდი: 245427809 | |
| **დეპარტამენტის თავმჯდომარე** | **ფიზიკური პირი** |
| _____ /სულხან ღლონტი/ ბ.ა. | _____ /ირაკლი სირაბიძე/ ბ.ა. |

# ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ვადასტურებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების აჭარის ა.რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ ფოლკლორული ღონისძიების ორგანიზების შესყიდვის მიზნით 2018 წლის 20 მარტს ფ.პ. ირაკლი სირაბიძესთან გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N58 ხელშეკრულებაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

დეპარტამენტის თავმჯდომარე სულხან ღლონტი

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის სამსახურის
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ირაკლი ბარამიძე

20 მარტი 2018 წელი